“ლოკომოტივის” რევანში

გუშინ მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ “ა” კლასის პირველი ქვეჯგუფის ფეხბურთელთა გუნდები _ მოსკოვის “ლოკომოტივი” და თბილისის “დინამო”. ამ დღეს დინამოელებმა ძალზე სუსტად ითამაშეს და დამარცხდნენ მშრალი ანგარიშით _ 5:0.

ანგარიში გაიხსნა პირველი ტაიმის მე-15 წუთზე, როცა აბრამოვმა გაიტანა ბურთი. ნახევარი საათის შემდეგ სპიროდონოვმა მეორედ შეარხია თბილისელთა კარის ბადე.

შესვენების შემდეგ სურათი არ შეცვლილა. კვლავ უტევდნენ რკინიგზელი ფეხბურთელები, რომელთა გამუდმებული იერიშების უვნებელსაყოფად თბილისელებმა ვერაფერი გააწყვეს და 45 წუთის განმავლობაში საკუთარ კარში დამატებით 3 ბურთი მიიღეს.

მატჩი დამთავრდა მოსკოვის “ლოკომოტივის” სასარგებლოდ ანგარიშით 5:0. ამრიგად, რკინიგზელებმა რევანში აიღეს პირველ წრეში დამარცხებისათვის.

“ლელო”, 1 აგვისტო, 1961 წ.